# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შესრულების

## ა ნ გ ა რ ი შ ი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

| დასახელება | 2022 წლიური დაზუსტებული გეგმა | 2022 წლის ფაქტი | შესრულების პროცენტი |
|---|---|---|---|
| | სულ | სულ | სულ |
| შემოსავლები | 32 155 482 | 31 954 315 | 99,374 |
| გადასახადები | 17870000 | 18218152 | 101,948 |
| გრანტები | 11029355 | 9717165 | 88,103 |
| სხვა შემოსავლები | 3256127 | 4018998 | 123,429 |
| | | | |
| ხარჯები | 19214854 | 18484843 | 96,201 |
| შრომის ანაზღაურება | 2301094 | 2291375 | 99,578 |
| საქონელი და მომსახურება | 2884816 | 2525732 | 87,553 |
| სუბსიდია | 9310367 | 9138913 | 98,158 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2851427 | 2702505 | 94,777 |
| სხვა ხარჯები | 1867150 | 1826318 | 97,813 |
| საოპერაციო სალდო | 12940628 | 13469472 | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 14494289 | 13138469 | |
| ზრდა | 14494289 | 13138469 | |
| კლება | 0 | 0 | |
| მთლიანი სალდო | -1553661 | 331003 | |
| | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1553661 | 331003 | |
| ზრდა | 0 | 331003 | |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 331003 | |
| სესხები | | | |
| აქციები და სხვა | 0 | 0 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| კაპიტალი | | | |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | | |
| კლება | 1553661 | 0 | |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1553661 | | |
| სესხები | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0 | 0 | |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0 | 0 | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **0** | **0** | |
| ზრდა | 0 | 0 | |
| საგარეო | 0 | 0 | |
| საშინაო | 0 | 0 | |
| კლება | 0 | 0 | |
| საგარეო | | | |
| საშინაო | 0 | 0 | |
| | | | |
| **ბალანსი** | **0** | **0** | |

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსულობების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 32 155 482 ლარს, ფაქტიურმა შემოსულობებმა კი შეადგინა 31 954 315 ლარი, გეგმის შესრულება განისაზღვრა 99.37%. (თუ შევადარებთ 2022 წლის შემოსავლები 2021 წლის შემოსავლებთან მიმართებაში გაზრდილია 8 847 302ლარის ოდენობით რაც ძირითადად გამოწვეულია ტრანსფერის ზრდით და ადგილობრივი შემოსავლების ზრდით.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 8 179 558 ლარს ფაქტიურად მიღებულია 7 409 948 ლარი ანუ 90,59 %. განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის წლიური გეგმა შეადგენდა 4 990 000 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 5 190 538 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 100,5%-ით.

- შემოსავალი სესხის, დეპოზიტის, ვექსელის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი) წლიური გეგმა შეადგენდა 214 257 ლარს, ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 214 257 ლარი. გეგმის შესრულება 100 %-ი.
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან გეგმა განსაზღვრული იყო 91 573 ლარი შესრულებამ შეადგინა 94 402 ლარი, ანუ 103,09 %;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან გეგმა შეადგენდა 39 000 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ კი შეადგინა 45735 ლარი შესრულება 117,27%

- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან გეგმა შეადგენდა 140 000 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 141 586 ლარი, შესრულება 101, 13 %.

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გეგმა შეადგენდა 740 725 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 694 045 ლარი შესრულება 93, 70 %.

-შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 182 487 ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 264 306 ლარი გეგმა შესრულდა 144,84%.
/იხ. დანართი #1, #2/

2022 წლის ხარჯვითი ნაწილის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 33 709 143 ლარს, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 31 323 312 ლარი, გეგმა შესრულდა 93,81 % -ით. /იხ.დანართიი N4./

**2022 წელს ბიუჯეტით სულ განხორციელდა 187 ინფრასტრუქტურული ღონისძიება** ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 11 385 371 ლარი მათ შორის განვიხილოდ დარგობრივად:

1. გზების მოწყობა რეაბილიტაციით არმირებით გაკეთდა პროექტი (21პროექტი) - **1 196 384** ლარი.
2. გზების მოწყობა დაეგო მზა ბეტონი (მ/შ სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 5017კბ) - 877 946 ლარი.
3. მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაზიანებული ხიდების მოწყობა - მოეწყო 3 პროექტი - 590 851 ლარი.
4. ფერდამცავი კედლები სტიქიური რისკის ზონებში მოეწყო 135 პროექტი- - 4 406 535 ლარი.
5. გარე განათება მოეწყო 9 პროექტი (მ/შ სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 5 პროექტი) - 220 851 ლარი
6. წყალმომარაგების ღონისძიებებით 1 პროექტი(ახალსოფლის სასმელი წყლის რეაბილიტაცია) - 1 728 648 ლარი.
7. კეთილმოწყობის ღონისძიებები მოეწყო 13 პროექტი (მ/შ მოეწყო 12 სოფლის ცენტრი, სკვერები და მედპუნქტია) 901 207 **ლარი**
8. დაწყებითი სკოლების რემონტი მოეწყო 1 პროექტი ( მ/შ ავგიის დაწყებითი სკოლის რემონტი) - 114 434 ლარი.

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში წლიური გეგმა შეადგენდა 4,559,282 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 4,235,643 ლარს, ანუ გეგმა შესრულდა - 92,90 %-ით.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები:

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 865 785 ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3349058 ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური– 66 864 ლარი

2. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა აღნიშნული მუხლით გაიცა 348415,79 ლარი, მათ შორის: შპს Modern Architectural Group, შპს დიდგორი,შპს ჩვენი ხედი, შპს ლადა, შპს ,,კონსული, გიორგი გორაძის და ამირან გორგაძის სასარგებლოდ.

3.საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-386 647 ლარი) გახარჯულია 356 352 ათასი ლარი. მათ შორის:

**სარეზერვო ფონდის ხარჯვით ნაწილმა** შეადგინა:

356 352 ლარი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 68 946 ლარი. სულ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან და აჭარის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით **793 ოჯახს მათ შორის:**

1.სტიქიური მოვლენების ძლიერი ქარის და დიდ თოვლობის შედეგად დაზარალებულ70-ოჯახს გაეწია დახმარება 50 881ლარი.

2.მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 644-ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება 242 069 ლარი.

3. 100 დამეტი წლის ხანდაზმულ 5-ბენეფიციარს 2 500 ლარი

4. მრავალშვილიანი და დედმამით ობოლ ბავშთა(18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის 12 000 ლარი.

5. მარტოხელა მშობელს 17 500 ლარი.

6. 1000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს დახმარება 7 500 ლარი.

7.უკრაინაში მიმდინარე საომარ მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით 10 000 ლარი.

8. სოფელ ხელვაჩაურში,ფერიაში,მახვილაურში და ახალშენში მცხოვრები მოსახლეობის დახმარებისთვის, ჭაბურღილზე არსებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვის მიზნით 139 03 ლარი.

ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 7ოჯახს გამოეყო 68 946 ლარი. */იხ. დანართი N3 და N3/1/*

**თავდაცვის სფეროში:**

- წლიური გეგმა შეადგენდა 66 890 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 66 864 ლარს, ანუ 99.96%. სამხედრო აღრიცხვის სამსახურის მიერ მობილიზებული იქნა 998 წლევამდელი, აქედან გაწვეული იქნა 64 წლევამდელი.

**ეკონომიკური საქმიანობა**

წლიური გეგმა შეადგენდა 2 903 841 ლარს, ფაქტიურ შესრულება კი 2 762 926 ლარი, ანუ 95.14%.

**სოფლის მეურნეობა გეგმა შეადგენდა** 830 000 ლარს, ფაქტიური შესრულება 830 000 ლარი შესრულება შეადგენს 100 %. შეშის ჩანაცვლება ბრიკეტით ენერგოეფექტური ღუმელების დანერგვა აღნიშნული პროგრამით შეძენილი იქნა 412,5 ტონა ბრიკეტი რომლითაც ისარგებლა 375 კომლმა. ასევე ფულადი თანხა დაერიცხა 1000 ლარის ოდენობით 500 კომლს.

**გარემოს დაცვა**

წლიური გეგმა შეადგენდა 1 714 671 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 1 662 837 ლარი, ანუ 96,97 %, მათ შორის: სანიტარული დასუფთავების მომსახურებაზე გაწეული იქნა ხარჯი 491 011

ლარის ოდენობით. მომსახურება განახორციელა შპს სანდასუფთავებამ, რომელიც მოიცავდა დაგვა დასუფთვებას ყოველდღე, ერთჯერადად საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანახვეტის გატანას, სანაპიროს დასუფთვება და თხილნარში მდინარის კალაპოტის 2-კმ. მონაკვეთის გაწმენდას.

**საბინაო კომუნალური მეურნეობა**

-საბინაო კომუნალური მეურნეობა წლიური გეგმა 7 935 658 ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 6 878 720 ათასი ლარით, რაც გეგმის 87 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

**სოფლის მხარდამჭერი პროგრამა** წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 968 000 ლარი ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 906 164 ლარი შესრულება განისაზღვრა 93.6%-ით: პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

1) 5017 კბ მზა ბეტონის დაგება მუნიციპალიტეტის სოფლებში ღირებულებით -877 946 ლარი.
2) მოწყობა 5 პროექტი გარე განათების ღირებულებით 44 666 ლარი.
3) მოეწყო თხილნარში ატრაქციონი 19 891 ლარი. */დეტალურად იხ. დანართი N5/*

**ამახანაგობის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოეწყო 1 სახლი მათ შორის:**

1.სოფელ მახინჯაურში წერეთლის N3,N5,N7 N13საცხოვრებელი სახლის ფასადის შეღებვის, და სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა- 59375 ლარი. *(აღნიშნული პროექტი გარდამავალი პროექტია 2021 წლის ბიუჯეტით, ვინაიდან ვერ მოესწრო სამუშაოების დასრულება).*

**წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები** წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 191 674 ლარს საკასო შესრულება კი 2 833 357 ლარი, გეგმა შესრულდა 88,77% - ით: მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოეწყო ახალსოფელში სასმელი წყლის რეაბილიტაცია ღირებულებით 1 728 648 ლარი.

**-გარე განათებაზე** წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 550 000 ლარი, მათ შორის მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასურის ხარჯმა შეადგინა 254 105 ლარი, ხოლო მიმდინარე მოვლა შენახვის ხარჯებისათვის საკასო შესრულებამ შეადგინა 231 131 ლარი, შესრულება 88.22 %. სოფლის მხარდამჭერი პროგრამით მოეწყო გარე განათების 5- პროექტი სოფელ მახინჯაურში, ხელვაჩაურში, მაჭახლისპირში, ომბოლოში და ჩიქუნეთში თანხით 44 668,63 ლარი, ხოლო ბიუჯეტთ მოეწყო 4 პროექტი ღირებულებით 176 182 ლარი

**-ჯანდაცვის სფეროში**

ჯანდაცვის სფეროში არის 9-(ცხრა) მიზნობრივი პროგრამა, წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამებით დახმარება გაეწია **3030** ბენეფიციარს.

ჯანდაცვის პროგრამების წლიური გეგმა შეადგენდა 1 350 138 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შედგინა 1 212 677 ლარი, ანუ 89.81.მათ შორის:

1.**პირველადი ჯანდაცვის** ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენდა 24 860 ლარს, საკასო შესრულება კი 16 569 ლარი ანუ 66.64%, საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაუწია 14 ამბულატორიამ.

2. **დიალიზით მოსარგებლე** პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა გეგმა შეადგენდა 32 620 ლარს, საკასო შესრულება კი 31 654 ლარი ანუ 97.03 %, პროგრამით ისარგებლა 41 **ბენეფიციარმა.**

3.**მოსახლეობის ექიმამდელი** სამედიცინო დახმარების პროგრამა გეგმა შეადგენდა 179 200 ლარს, საკასო შესრულება კი 178 941 ლარი ანუ 99,85% .აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია 31 **სოფლის მედდა.**

4. **პარკინსონით დ**აავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა გეგმა შეადგენდა 13 384 ლარს, საკასო შესრულება კი 12 864 ლარი ანუ 96.11 %. პროგრამით ისარგებლა **35 ბენეფიციარმა.**

5. **თემზე დაფუძნებული მობილური** გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის პროგრამა გეგმა შეადგენდა 88 000 ლარს, საკასო შესრულება კი 88 000 ლარი ანუ 100%. პროგრამით ისარგებლა **50 ბენეფიციარმა.**

6. **ბავშვთა აბილიტაცია** რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენდა 61600 ლარს, საკასო შესრულება კი 58 800 ლარი ანუ 95,45 %. პროგრამით ისარგებლა **125 ბენეფიციარმა.**

7. **ფენილკეტონურიით დაავადებულ** პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენდა 5 000 ლარს, საკასო შესრულება კი 5 000 ლარი ანუ 100 %. პროგრამით სარგებლობს 2-**ბენეფიციარი.**

8. **0-დან 200000 ქულის** მქონე მოვლის საჭიროების პირთა მატერიალური მხარდაჭერა გეგმა შეადგენდა 76 680 ლარს, საკასო შესრულება კი 75 570 ლარი ანუ 98,55 %. პროგრამით ისარგებლა **132 ბენეფიციარმა.**

9, **მოწყვლადი სოციალურ**ი ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა პროგრამა გეგმა შეადგენდა 520 000 ლარს, საკასო შესრულება კი 408 967 ლარი ანუ 78.64%. პროგრამით ისარგებლა **2600 ბენეფიციარმა.**

**დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში**

- წლიური გეგმა შეადგენდა 1 845 774 ლარს, საკასო შესრულება კი 1 841 315 ლარი ანუ 99,75 %, მათ შორის:

- მომსახურება სპორტის სფეროში წლიური გეგმა შეადგენდა 386 195 ლარს, საკასო შესრულება კი 384 461 ლარს, ანუ 99.55 %:

მომსახურება კულტურის სფეროში გეგმით გათვალისწინებული 1 438 579 ლარიდან საკასო შესრულებამ შეადგინა 1 436 053 ლარი. ანუ 99.82 %:

**განათლების სფეროში**

-წლიური გეგმა შეადგენდა 6 750 126 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 623 291 ლარი, ანუ 98.12 %, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდა- წლიური გეგმა შეადგენდა 4 886 032 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 765 456 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 97,53 %.

-სხვა არაკლასიფიცირებული საქმინაობა განათლების სფეროში წლიური გეგმა შეადგენდა 1 746 792 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 743 401 ლარი, ანუ 99,80%. მათ შორის აღსანიშნავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა და სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა, პროგრამის ბიუჯეტის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგენდა 53

000 ლარი, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამით **ისარგებლა 78 სტუდენტმა და 54 მოსწავლემ.**

-

**- სოციალური დაცვის სფეროში**

სოციალური დაცვის სფეროში არის 9 - (ცხა) მიზნობრივი პროგრამა წლის განმავლობაში დახმარება გაეწია **692 ბენეფიციარს.**

-წლიური დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 6 582 763 ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 6 339 038 ლარი, ანუ 96.29%, მათ შორის:

1, **(უფასო სასადილოები)** –გეგმა შეადგენს 121 908 ლარს, საკასო შესრულება კი – 121 908 ლარს, ანუ 100 %, პროგრამით სარგებლობს **143 ბენეფიციარი.**

2. ***ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა*** ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება გეგმა შეადგენს 3 600 ლარს, საკასო შესრულება კი – 3 450 ლარს შესრულება 95,83%, დახმარება გაეწია სულ 10 ბენეფიციარს: მე-2 მსოფლიო ომში მონაწილე 1 ვეტერანი 500 ლარი; მე-2 მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლის 1 ოჯახზე 300 ლარი. ავღანეთის ბრძოლებში დაინვალიდებული 2- პირის (თითოეულს 300 ლარის ოდენობით). ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლის 2 ოჯახზე (თითოეულს 400 ლარი). ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების 1 ინვალიდის ოჯახზე 500 ლარი). ომის ვეტერანებისა და დაღუპულთა ოჯახების წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება დადახმარება პროგრამით გარდაცვლილ ვეტერანთა 3 ოჯახებზე (თითოეულს 250 ლარი).

3. ***მრავალშვილიანი დედების*** (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენდა 117 000 ლარს, საკასო შესრულება კი – 117 000 ლარს, შესრულება 100%, საანგარიშო პერიოდში სულ დახმარება გაეწია 188 ოჯახს. მათ შორის: მე-3 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით დახმარება გაეწია 149 ოჯახს თითოეულს 500 ლარის ოდენობით, მე-4 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით დახმარება გაეწია 32 ოჯახს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებასთან დაკავშირებით დახმარება გაეწია 7 ოჯახს თითოეულს 1500 ლარის ოდენობით.

4. ***მრავალშვილიანი და დედმამით ობოლ ბავშვთა*** (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენდა 25 000 ლარს, საკასო შესრულება კი – 24 000 ლარი შესრულება 98%. სულ დახმარება გაეწია 24 ოჯახს. ისარგებლა 24 ოჯახმა მათ შორის: 23 - მრავალშვილიან ბენეფიციარს დახმარება გაეწია 23 000 ლარის ოდენობით, ერთ დედ-მამით ობოლი ბენეფიციარს დახმარება გაეწია- 1000 ლარის ოდენობით.

5, ***0-დან 100 000 ქულის*** მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენდა 35 000ლარს საკასო შესრულებამ შეადგინა – 30 000 ლარი შესრულება 85.71 0%. წლის განმავლობაში დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 60 ოჯახს. თითოეულს 500 ლარის ოდენობით.

6. ***0 - დან - 200000 ქულის*** მქონე ოჯახებს პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გეგმა შეადგენდა 12 000 ლარს საკასო შესრულებამ შეადგინა 11 700 ლარი ანუ 95,7%, წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 30 - ოჯახს მათ შორის: პირველი შვილის დაბადებასთან დაკავშირებით დახმარება გაეწია 3 - ოჯახს თითოეულს 300 ლარის ოდენობით, მე-2 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით დახმარება გაეწია 27 ოჯახს თითოეულს 400 ლარის ოდენობით.

7. ***გაზიფიცირების პროგრამა*** 0- დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენდა 16 000 ლარს, საკასო შესრულება კი 13 000 ლარი ანუ 81,25 %. საანგარიშო პერიოდში პროგრამით ისარგებლა 32 - ბენეფიციარმა.

8. ***მარტოხელა მშობლის*** (მარტოხელა დედა,მარტოხელა მამა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენდა 36 000 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა – 36 000 ლარი ანუ 100%. პროგრამით ისარგებლა 36 ბენეფიციარმა.

9.***სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე*** დახმარების უზრუნველყოფა (ბინის ქირა) გეგმა 918 000 ლარი საკასო შესრულებამ შეადგინა 904 200 ლარი ანუ 98.49%. პროგრამით ისარგებლა 252-ოჯახმა.

ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1 606 364 ლარს ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 1 937 367 ლარი,

ხოლო რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 93.81 % რომელიც შესრულებულია წლის მდგომარეობით დადებითია. (თუ შევადარებთ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 83,9% გასულ წელთან მიმართებაში შესრულება გაზრდილია 9,91%)-ით.